



2023
წელი

შპს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

სტუდენტის ეთიკის კოდექსი
დამტკიცებულია 20.06.2022წ. მმართველი საბჭოს ოქმი N2

პრეამბულა

- ❖ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სტუდენტის ეთიკის კოდექსი ემყარება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ, მორალურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს მთლიანად უნივერსიტეტის ზოგად ეთიკურ პრინციპებს;
- ❖ სტუდენტის ეთიკის კოდექსი, სტუდენტის ინტერესებს განიხილავს უნივერსიტეტის ინტერესების განუყოფელ ნაწილად და ამ პოზიციის საფუძველზე ადგენს სტუდენტის ქცევის წესებს;
- ❖ წინამდებარე ეთიკის კოდექსი აწესრიგებს სტუდენტის აკადემიურ და ყოფაქცევით ურთიერთობებს ერთმანეთთან და უნივერსიტეტის პერსონალთან;
- ❖ სასწავლო უნივერსიტეტი პატივს სცემს ყველა სტუდენტის ღირსებას, უფლებებსა და თავისუფლებას და ყოველი სტუდენტისაგან, შიდა საუნივერსიტეტო თანამეგობრობის ფარგლებში მოითხოვს საუნივერსიტეტო საზოგადოების და სხვა სტუდენტების ღირსებისა და უფლებების პატივისცემას.
- ❖ საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრობა სტუდენტს ანიჭებს უფლებებს და ამასთანავე აკისრებს მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობენ სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან და ამოცანებიდან;
- ❖ სტუდენტის ეთიკის კოდექსის დანიშნულებაა დაადგინოს სტანდარტები და პროცედურები, რომლებიც აუცილებელია სწავლისა და კვლევისათვის საუკეთესო გარემოს შესანარჩუნებლად საუნივერსიტეტო გარემოში და წარმოადგენს სტუდენტის სახელმძღვანელოს საუნივერსიტეტო გარემოში ქცევისათვის.
- ❖ წინამდებარე სტუდენტის ეთიკის კოდექსი საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული თითოეულ სტუდენტს უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე აცნობს წინამდებარე ეთიკის კოდექსს რასაც სტუდენტი ადასტურებს უნივერსიტეტთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით. ეთიკის კოდექსი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 1 სტუდენტის ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები

1. წინამდებარე სტუდენტის ეთიკის კოდექსის საფუძველია, საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ნორმა-პრინციპები, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სასწავლო უნივერსიტეტის დებულება და სხვა შიდა სამართლებრივი აქტები;
2. წინამდებარე კოდექსი ადგენს სტუდენტის ქცევის ზოგად წესს და აკადემიურ პროცესებთან დაკავშირებულ ეთიკის ნორმებს.

მუხლი 2 სტუდენტის ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე ეთიკის კოდექსი ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს უნივერსიტეტში სწავლის მთელი პერიოდისათვის;
2. წინამდებარე ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება:
 - ა. უნივერსიტეტის სტუდენტზე;

ბ. პირზე რომელიც უნივერსიტეტში გადის ტრენინგს, მოკლევადიან სასერთიფიკატო პროგრამას ან/და სტაჟირებას.

მუხლი 3 სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია:

ა. პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალს, სხვა სტუდენტებს და უნივერსიტეტის შენობაში სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე მყოფ ყველა პირს;

ბ. არ დაუშვას უნივერსიტეტში ალკოჰოლური ნივთიერების, ნარკოტიკული საშუალების, იარაღის შეტანა;

გ. არ დაუშვას უნივერსიტეტში აზარტული თამაშები;

დ. არ გამოცხადდეს უნივერსიტეტში ალკოჰოლური ან სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. აქვე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ეს ხდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკრეტულ ღონისძიებაზე;

ე. უნივერსიტეტის ქონება გამოიყენოს მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებით არ დააზიანოს ან/და გაანადგუროს ქონება;

ვ. არ მოწიოს თამბაქო, გარდა უნივერსიტეტში სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიებისა;

ზ. არ დაანაგვიანოს უნივერსიტეტის ტერიტორია;

თ. დაიცვას საგამოცდო პროცესის წესები;

ი. დაიცვას ბიბლიოთეკაში შესაბამისი ქცევის წესები;

კ. დაიცვას უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტები;

ლ. არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე, პლაგიატი. აკადემიურ სიყალბედ წინამდებარე კოლეჯის მიზნებისათვის ჩაითვლება, ერთ ერთი ქვემოთ მოყვანილი ქმედება:

❖ სხვა სტუდენტის ნაშრომიდან გადაწერა;

❖ ცალკეული აქტივობის (გამოცდა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და ა.შ.) შესრულებისას ისეთი მასალის გამოყენება რომელიც არ იყო ნებადართული ლექტორის მიერ;

❖ სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირისათვის მის მაგივრად გამოცდის ჩაბარების თხოვნა;

❖ საგამოცდო საკითხების უკანონოდ მოპოვება ან/და გავრცელება;

❖ სხვისი ნაშრომის წარმოჩენა, როგორც საკუთარი ნამუშევრის;

❖ სხვა სტუდენტის ნაშრომის მითვისება, განადგურება ან შეცვლა;

❖ ლექტორზე ზეწოლა სასურველი შეფასების მისაღებად;

❖ საამილოდ მიღებული ფორმით წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება.

2. აკრძალულია სტუდენტის მიერ სხვა პირის დისკრიმინაცია ან/და არატოლერანტული დამოკიდებულება - რასის, კანის ფერის, სქესის, რეგლისის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.

3. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტის ტრადიციებს, სიმბოლიკას და რეპუტაციას. სტუდენტმა არ უნდა ჩაიდინოს ქმედება რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს უნივერსიტეტის იმიჯს, რეპუტაციას ან/და აკნინებს და შეურაცხყოფს უნივერსიტეტის სიმბოლიკას, ტრადიციებს.

4. სტუდენტის მიერ ამ კოლეჯით გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დარღვევას მოყვება დისციპლინური პასუხისმგებლობა, რომლის წესი და პროცედურა დადგენილია

წინამდებარე კოდექსით.

მუხლი 4 დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები

1. წინამდებარე ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის, სტუდენტს შესაძლოა დაეკისროს შემდეგი სახდელები:

- ❖ შენიშვნა;
- ❖ გაფრთხილება;
- ❖ საყვედური;
- ❖ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის დადგენილი სტიპენდიით ან/და შეთავაზებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან შეწყვეტა;
- ❖ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 5 დისციპლინური წარმოება

1. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი შესაძლოა გახდეს უნივერსიტეტის პერსონალის ან/და სტუდენტის განცხადება/საჩივარი, რომელშიც ახსნილი და დასაბუთებულია, რომ სტუდენტის ქმედებით დაირღვა ან/და შესაძლოა დაირღვეს მისი უფლებები/ინტერესები, ან/და ზიანი მიადგა/შესაძლოა მიადგეს უნივერსიტეტის თუ სხვა პირთა ინტერესებს.
2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი/საჩივარი იწერება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელიც განაცხადის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ქმნის დისციპლინურ კომისიას, კომისიის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
3. დისციპლინურ კომისიას გადაეცემა პირის განცხადება/საჩივარი, ასევე თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში), კომისია უფლებამოსილია თავადაც მიმართოს რექტორს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის მოთხოვნით. კომისია საქმის მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში იღებს ერთ ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
 - ❖ სტუდენტის მიმართ იწყებს დისციპლინურ დევნას;
 - ❖ უარს ამბობს სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე.
4. კომისიის მიერ დისციპლინური დევნის დაწყების შემთხვევაში, კომისია შეისწავლის საქმის მასალებს, მოისმენს ორივე მხარის ახსნა-განმარტებას, საჭიროების შესაბამისად გამოითხოვს დამატებით დოკუმენტაციას.
5. საქმის განხვილის შედეგად კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ ერთი შემდგომი გადაწყვეტილება:
 - ❖ არ დააკისროს სტუდენტის დისციპლინური სახდელი, დარღვევის არ არსებობის გამო;
 - ❖ დააკისროს სტუდენტის კონკრეტული დისციპლინური სახდელი.
6. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება ეგზავნება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
7. დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია:
 - ❖ წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
 - ❖ დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას;

- ❖ დისციპლინურ კომისიას მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული მასალა, დოკუმენტები, მტკიცებულებები და ა.შ.
 - ❖ უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საკითხის გამოკვლევაში;
 - ❖ მოითხოვოს მისი საკითხის განხილვა საჯარო სხდომაზე.
8. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს სტუდენტის მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში.

მუხლი 6 დისციპლინური კომისიის მიერ საკითხის განხილვა

1. დისციპლინური კომისიას განცხადებას/საჩივარს განიხილავს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით;
2. დისციპლინური კომისიის სხდომები დახურულია, კომისიის მუშაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, საქმის მასალები კონფიდენციალურია;
3. დისციპლინური კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენით;
4. საჭიროების შესაბამისად დისციპლინური კომისია იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის მოიწვიოს ხვა პირები;
5. წარმოების მიმდინარეობისას განცხადებელს ეკისრება მტკიცების ტვირთი;
6. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს გასაგები და დასაბუთებული;
7. სტუდენტი რომლის მიმართაც მიმდინარეობს წარმოება უფლებამოსილია დაესწროს საკითხის განხილვას;
8. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის/საჩივრის შეტანიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ღია კენსჭისყრით და დგება ოქმი რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. კომისიის წევრის განსხვავებული აზრი ცალკე დაერთვება ოქმს.
9. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს აღსასრულებლად;
10. კომისიის გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11. კომისიის მიერ განსაზღვრული სახდელი უნდა იყოს გადაცდომის თანაზომიერი. კომისია ვალდებულია სახდელის განსაზღვრისას გაითვალისწინოს დარღვევის სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული ზიანი ასევე დარღვევის განმეორებითი ხასიათი.
12. ერთი დარღვევისთვის რამდენიმე სახდელის დაკისრება დაუშვებელია;
13. დაკისრებული დისციპლინური სახდელი გაქარწლდება მისი დაკისრებიდან 1 წლის შემდეგ.
14. იმ შემთხვევაში თუ დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილება რომ ნაშრომი შესრულებულია სხვის ნაცვლად, ნაშრომის შეფასებაში განისაზღვრება შეფასება 0.

მუხლი 7 დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ეთიკის კოდექსი დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ;
2. ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით;
3. ეთიკის კოდექსი ძალაშია მმართველი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

